

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება

N713

12.09.2013წ

არჩევნების პერიოდში შსს-ს მოსამსახურეთა

სახელმძღვანელო ინსტრუქციის

დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

- 1.თანდართული სახით დამტკიცდეს არჩევნების პერიოდში შსს-ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია.
- 2.დაევალოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელებს, უზრუნველყონ ადმინისტრაციულ შენობებში ინსტრუქციის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება და პირადი შემადგენლობისათვის გაცნობა.
- 3.ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
- 4.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

არჩევნების პერიოდში შსს-ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო

ინსტრუქცია

არჩევნების პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეები (შემდგომში - შსს-ს მოსამსახურეები) ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან და გაითვალისწინონ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესები და მოთხოვნები.

შსს-ს მოსამსახურეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ არჩევნები არის ისეთი მოვლენა, როდესაც საქართველოს მოქალაქეებს ეძლევათ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო ხელისუფლების მართვის, ასევე ხელისუფალთა არჩევისა და გადარჩევის რეალური შესაძლებლობა. ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების ერთადერთი კანონიერი ფორმა. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქეებმა თავიანთი საარჩევნო უფლება გამოიყენონ უსაფრთხო და მშვიდობიან გარემოში, სადაც არ იქნება არავის, მით უმეტეს, შსს-ს მოსამსახურეების მხრიდან ზეწოლა და ძალადობა. შსს-ს თითოეული მოსამსახურე უნდა აცნობიერებდეს, რომ არჩევნების პროცესისთვის ნებისმიერი ფორმით ხელშეშლა ისჯება კანონით.

წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/გამოქვეყნებამდე:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებს;
- შსს მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე კანონით დადგენილ აკრძალვებს და შეზღუდვებს;
- საარჩევნო კოდექსში გამოყენებულ ცალკეულ ტერმინთა განმარტებებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებები:

-ამოღებულია 16.04.2014 წლის N298 ბრძანებით

-აკრძალულია წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებაში (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45.5.ა);

-აკრძალულია საოლქო საარჩევნო კომისიის განთავსება იმ შენობაში, რომელშიც გათავსებულია პოლიციის სამსახური (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 19.8);

-აკრძალულია სააგიტაციო მასალების გაკვრა პოლიციის შენობის ინტერიერებსა და ექსტერიერში (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 46.2);

-აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა და აგიტაციაში მონაწილეობა;

-აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაციის და კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 48);

-აკრძალულია საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49);

-აკრძალულია საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე პოლიციის თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49.7);

-საუბნო საარჩევნო კომისია არ უნდა განთავსდეს და კენჭისყრის ადგილი არ უნდა გამოიყოს იმ შენობაში, რომელშიც განთავსებულია პოლიციის სამსახურები (გარდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიისა) (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.2. გ);

-თუ კენჭისყრის შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო გადაადგილებას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით შეიძლება გამოძახებულ იქნენ და კენჭისყრის შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ პოლიციის მუშაკები, ხოლო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისთანავე და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას და მის მიმდებარე ტერიტორიას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.6);

-საარჩევნო პერიოდში სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირების მიმართ მოთხოვნილი და გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელები იყოს სამართალდარღვევის პროპორციული, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მომავალში მსგავსი დარღვევების პრევენცია.

შსს-ს მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები:

არჩევნების დანიშნვიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს არა აქვს უფლება იყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 24.5.თ);
- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს არა აქვს უფლება იყოს დამკვირვებელი საარჩევნო კომისიაში ან საარჩევნო უბანზე. (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 39.4. ვ);
- დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში შეიარაღებულ პირთა შესვლა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.3);
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებს ეკრძალებათ არჩევნების დანიშნვის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა), შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 47.1.);
- აკრძალულია სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხვევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ის აკრძალულ ადგილას არ არის განთავსებული (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 46.71);
- აკრძალულია ამომრჩეველთა მოსყიდვა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 47);
- აკრძალულია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 48);
- აკრძალულია საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49).

შსს-ს მოქმედება შეკრების და მანიფესტაციის დროს:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია:

- უზრუნველყოს მშვიდობიანი მიტინგების, დემოსტრაციების და მოქალაქეთა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოება („პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლი 8.ძ);
- აღკვეთოს უკანონო მიტინგი, დემონსტრაცია, პიკეტირება და სხვაგვარი აქცია, აგრეთვე მიმდინარე აქცია, თუ იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ადამიანის

სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, საკუთრებას და კანონით დაცულ სხვა უფლებებს („პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლი 9.1.ე);

შსს-ს პოლიტიკური ნეიტრალობის უზრუნველყოფა:

შსს-ს ყველა მოსამსახურე ვალდებულია მკაცრად დაიცვას პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი - არ მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოებულ აგიტაციასა და კამპანიაში, დაიცვას ამ ინსტრუქციით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საარჩევნო სუბიექტის მიერ ორგანიზებული აგიტაციისა და კამპანიის (შეკრება) დროს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და შეკრების მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილე შესს-ს თითოეული მოსამსახურე ვალდებულია:

- ეცვას დადგენილი ნიმუშის ფორმის ტანსაცმელი;
- იმ შემთხვევაში, თი სააგიტაციო კამპანია (შეკრება) იმართება შენობის გარეთ, არ მიუახლოვდეს შეკრების მონაწილეებს 5 მეტრის მანძილზე (გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა) ასევე არ დაუშვას შეკრების მონაწილეებთან დაპირისპირებული ძალის მიახლოება;
- იმ შემთხვევაში, თუ სააგიტაციო კამპანია (შეკრება) იმართება შენობაში ან სხვა დახურულ სივრცეში, დაიცვას შენობის მხოლოდ გარე პერიმეტრი და არ დაუშვას შენობაში დაპირისპირებული ძალის შესვლა. ამასთან, შესს-ს მოსამსახურეს კატეგორიულად ეკრძალება ამგვარ შენობაში შესვლა, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის:

- კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 79);
- წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო- და სხვა მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე, სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელშეშლა გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ, გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 80);

- საარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის აკრძალულ დაწესებულებათა შენობებში უფლებამოსილი პირის მიერ აღნიშნული საქმიანობისათვის ნებართვის გაცემა - გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 81);
- წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 88).

შენიშვნა: ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის გათვალისწინებული იქნება ასევე დისციპლინური და სხვა სახის პასუხისმგებლობა.

ტერმინთა განმარტებები

ამომრჩეველთა სპეციალური სია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო (გასამხედროებული) და საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც შეყვანილი არიან ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში, ხმას აძლევენ სამხედრო შენაერთის დისლოკაციის ადგილის მიხედვით;

საარჩევნო სუბიექტი – შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული პარტია, საარჩევნო ბლოკი ან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის კანდიდატი;

საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი – პირი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის მიზნით წარდგენილია რეგისტრაციისათვის შესაბამის საარჩევნო კომისიაში;

წინასაარჩევნო კამპანია – საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;

წინასაარჩევნო აგიტაცია – ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა;

სააგიტაციო მასალა – პლაკატი, დროშა და ნებისმიერი სხვა მასალა, რომლებზედაც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი;

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა - პოლიტიკური პარტიისან საარჩევნო სუბიექტების მიერ სამინისტროს კუთვნილი: ა) ადმინისტრაციული შენობების გამოყენება; ბ) საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება; გ) სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა - სამინისტროს/სამინისტროს მოსამსახურეებს ეკრძალებათ პოლიტიკური პარტიისან საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც გულისხმობს:

ა) სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;

ბ) სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვებას და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას;

გ) წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას;

დ) არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელების აკრძალვას, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით;

ე) არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა, გარდა იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობების ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე;

ვ) წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სააგიტაციო მასალის, ვიდეო- ან აუდიომასალის დამზადება, ვებგვერდის ან მისი ნაწილის შექმნა, რომელშიც/რომელზედაც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი/პოლიტიკური პარტია ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო ინფორმაციას. იმავე პერიოდში აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით დამზადებულ სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება;

საარჩევნო უბანი – ადმინისტრაციული საარჩევნო დანაყოფი, რომელიც იქმნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კენჭისყრისა და ხმების დათვლისათვის არჩევნებისა და რეფერენდუმის გამართვისას;

ხმის მიცემის ფარულობა - ხმის მიცემა ფარულია. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად. არჩევნების დროს სხვისი

პროცენტების დამადასტურებელი დოკუმენტის ან ყალბი დოკუმენტის საფუძველზე ხმის მიცემა, ასევე, არაერთგზის ხმის მიცემა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.